სიახლე, თაოსნობა იპყრობს ახალ ზღუდეებს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი № 275 (11581) | ოთხშაბათი, 25 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მაღალი შრომითი აღმავლობით იბრძვის, რომ ვადამდე შეასრულოს შვიდწლიანი გეგმის პირველი წლის საწარმოო დავალება. ამაში კოლექტივს დიდად უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მუშებმა საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაიჩაღეს.

ამ დღეებში ქარხანაში მოვიდა სახიბარულო ცნობა. ბრიგადას, რომელსაც ივანე კოვზირიძე ხელმძღვანელობს, მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. ბრიგადა ნაყოფიერად იბრძვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ხურათზე: ი. კოვზირიძე.

ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართველი მეჯალურგები — ე. პრონკინის მიმდევრები

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ე. პრონკინის თაოსნობა. ე. პრონკინმა — მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ტექნოლოგმა — გადაწყვიტა დაეხმაროს თავისი უბნის ორ ახალგაზრდა მუშას, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის დამკვრელის მაღალი წოდებისათვის.

რა დახმარებაზეა ლაპარაკი?

გაუზიაროს ტექნიკური ცოდნა და საკუთარი გამოცდილება, დაეხმაროს ზოგადი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებაში, პროფესიულ დახელოვნებაში.

ქართველი მეტალურგები ყოველთვის ერთ-ერთი პირველნი ეხმაურებიან ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. ამჯერადაც ასე მოხდა.

...ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფურცელსაგლინავი საამქრო. მიმდინარეობს ახალგაზრდების კრება. სიტყვას ამბობს ცვლის უფროსი ახალგაზრდა სპეციალისტი ი. წერეთელი.

— ამ შესანიშნავ დღეებში, როცა საბჭოთა ხალხი გმირულად იბრძვის შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ჩემი ცვლის სახელით პირობას ვიძლევი 5 დეკემბრისათვის შევასრულო წლიური გეგმა. მაგრამ მარტო ამით არ დავკმაყოფილდები. ე. პრონკინის მაგალითისამებრ დაეხმარება სამ მუშას ზოგადი განათლების, საერთო კულტურული დონის ამაღლებაში, მუშაობის მოწინავე მეთოდების დაუფლებაში.

ი. წერეთელს არ ჩამორჩა ვ. რადჩენკო. მან თქვა:

— ჩვენთან ბევრია ისეთი მუშა, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება აქვს, მაგრამ თეორიული ცოდნა აკლია. მას შემდეგ, რაც გავეცანი ე. პრონკინის თაოსნობას, გადავწყვიტე დახმარება გავუწიო ორ მუშას. არ ვმარა მარტო შენ დაეუფლო ტექნიკურ ცოდნას. სხვასაც უნდა დაეხმარო და ამით ხელი შეუწყო საერთო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ორი და სამი მუშისადმი დახმარება იკისრეს ავრეთვე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ასპირანტმა ზ. ჩხეიძემ და მეტალურგიული ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა ინჟინერმა ნ. ცარციძემ. ამ უკანასკნელმა საუბარში განაცხადა:

— თუ სამი-ოთხი წლის წინათ თითებზე ჩამოსათვლელი იყო მოწინავე მეფოლადე, მვალცავი, მეყალიბე, ოპერატორი, მექურე, მღარავი და სხვ., ახლა მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. განსაკუთრებით ამაღლდა მუშათა კვალიფიკაცია და მათი ზოგადი ცოდნის დონე. შეიქმნა შრომის გამოჩენილი ოსტატების სკოლები, რომლებშიც გაერთიანებული ახალგაზრდები მდიდარ გამოცდილებას იძენენ. მხარს ვუჭერ ე. პრონკინის თაოსნობას. შეფობას გავუწევ ჩვენი საამქროს ოთხ მუშას, აქტიურ მონაწილეობას მივიღებ იმაში, რომ ჩვენთან შეიქმნას შრომის გამოჩენილი ოსტატების სკოლა.

— ე. პრონკინს ყველა საამქროსა და ბრიგადაში გამოუნდნენ მიმდევრები, — ამბობს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. თხელიძე. — აი ისინიც: შემკეთებელ-მექანიკური საამქროს ახალგაზრდა ინჟინერები გ. დემეტრაშვილი, ო. სანიკიძე, ა. გოქაძე და სხვები. ისინი აცხადებენ, რომ ე. პრონკინის მაგალითისამებრ დაუზარებლად გადასცემენ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას თავიანთ უბანზე მომუშავე ორ-სამ მუშას და ამით ხელს შეუწყობენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებას.

ამ დღეებში ქარხნის ელექტრო-სარემონტო საამქროს ახალგაზრდა ინჟინერ-კონსტრუქტორმა მ. ტარასოვამ ე. პრონკინს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მიულოცა ეს ახალი წამოწყება და სთხოვა საპასუხო წერილით აცნობოს, როგორია მისი პრაქტიკული გამოცდილება მუშებისადმი დახმარების გაწევაში.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალია, კარგია!

ბათუმი. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანს ქალაქის საწარმოებში ათვისებულია მრავალი ახალი პროდუქცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში იგზავნება.

გემმშენებლებმა ამ დღეებში ზღვაში ჩაუშვეს ახალი კატერი „ბათუმელი-1“.

ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა აგრეთვე 6-ადგილიანი კომფორტაბელური სახეირნო კატერი, რომელიც წყალქვეშა ფრთებზე ცურავს. მისი სიჩქარე საათში 60 კილომეტრს აღწევს. ამჟამად ქარხანაში დაიწყეს მზადება ახალი ტიპის — „უველანმავალი“ კატერის — „ჰაეროსანის“ მშენებლობის ათვისებისათვის. მისი გამოშვება გათვალისწინებულია მომავალ წელს. მას ექნება წყალქვეშა თხილამურები, საჭიროების შემთხვევაში კატერი მიადგება ნაპირს, გავა ხმელეთზე და ავლის თოვლსა და ყინულზე, როგორც მარხილი. კატერი 6-ადგილიანი იქნება.

როგორც ცნობილია, ბათუმში სამი ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა შენდება. ერთი მათგანის — ქარხანა „ელექტროკარის“ პროდუქციას — ელექტროკარებს დიდი ხანია წარმატებით იყენებენ ჩვენი ქვეყნის ნავსადგურებსა და მსხვილ საწარმოებში.

ამ დღეებში პირველი პროდუქცია — ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი — „ლატრ-1“ გამოუშვა ჯერ კიდევ მშენებლობაში მყოფმა ელექტროელსაწყოთა ქარხანამ. ამ ხელსაწყოს დანიშნულებაა ძაბვის რეგულირება. უკვე გამოშვებულია დიდძალი ავტოტრანსფორმატორი. ქარხანამ თავისი პირველი პროდუქციის დიდი პარტია გაგზავნა კიევში, ხარკოვში, შორეულ აღმოსავლეთში და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

ბათუმელი მანქანათმშენებლები სულ უფრო აფართოებენ კვების მრეწველობის მანქანების გამოშვებას. მათ ახლახან აითვისეს ავტოკალვის წარმოება. ეს მანქანა განკუთვნილია თევზის ქარხნებისათვის. ოქტომბერში ქარხანამ აითვისა აგრეთვე კონსერვის ქილების ჩამწყობი მოწყობილობის გამოშვება, რომლის პირველ პარტიას ამ დღეებში გაგზავნიან ლენინგრადში.

ბათუმის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ უკვე აითვისა „რიგა-55-ის“ ტიპის სარეცხი ელექტრომანქანების წარმოება. ამ ქარხნის პროდუქციას ახლა კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მალე ეს ქარხანა აითვისებს თანამედროვე „ბათუმი-60-ის“ მარკის ელექტროსარეცხ მანქანას, რომელშიც მექანიზებული იქნება ყველა პროცესი, მათ შორის თეთრეულის გაწურვა და გაშრობა.

უპასუხაკებენ სამშობლოს

საქართველოს ეკონომიური რაიონის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა

◆ **საქართველოს** ეკონომიური რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 23 ნოემბერს ვადამდე შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების 11 თვიანი გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, მარგანეცი, ლითონსაჭრელი ჩარხები, ავტოთვითმცლელები, ცემენტი, აბრეშუმის, შალის, ბამბის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი, ჩაი, ღვინო.

11 თვეში საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის პროდუქციამ დაახლოებით 10 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის შესაბამის პერიოდის დონეს. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

ათვისებულია ახალ სახეობათა ნაწარმი: მცირეგაბარიტიანი უნივერსალური ტრაქტორები „რიონი“, სავიბრაციო მანქანები, ლაბორატორიული ტრანსფორმატორები, ამწე ელექტროძრავები, ელექტროკარები, სარეცხი მანქანები, სიჩქარესაზომები, კონტაქტორები, სადენები, მცირეგაბარიტიანი ავეჯი, ფიბროლიტის ფილები და სხვ.

თვის დამლევამდე გამოშვებულ იქნება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

* * *

◆ **ქალაქ ბათუმის** სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეული შეხვედრისა და შვიდწლედის პირველი წლის საწარმოო დავალების წარმატებით შესრულებისათვის და ვადამდე. 20 ნოემბერს, შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

◆ **ცხაკაიას** რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, კვერცხისა — 100,1 პროცენტით, რძისა — 100,4 პროცენტით, დაფნის ფოთლისა —133 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 111 პროცენტით, თესლოვანი ხილის — 100,2 პროცენტით, მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 103 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 100 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდესი)

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ საამწყობო საამქროს მოწინავე მუშები (მარჯვნიდან მარცხნივ) ლილი დალაქიშვილი, ირაკლი მარგიაშვილი, გიული ხაინდრავა, ბორის როდი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო სეკუ ტურე

გაგრა, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე სეკუ ტურე, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში, და მისი თანმხლები პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და სეკუ ტურეს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ნ. ს. ხრუშჩოვმა და სეკუ ტურემ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-გვინეის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე და მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა პრეზიდენტ სეკუ ტურეს გადასცეს მხურვალე სალამი მამაც გვინეელ ხალხს, რომელსაც უსურვა ახალი დიდი წარმატებები მის კეთილშობილურ ბრძოლაში ახალგაზრდა გვინეის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

მიიღებს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი და სხვა ოფიციალური პირები.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

24 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

დილის 10 საათზე კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ დეპუტატები და მრავალი სტუმარი, მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოლოვი, ო. ვ. კუუსინენი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი. დეპუტატები და სტუმრები მათ შეხვდნენ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.

მოხსენება პირველ საკითხზე — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმა — გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ **დეპუტატმა ვ. ნ. ნოვიკოვმა.**

მოხსენება რუსეთის სფსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და რუსეთის ფედერაციის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრმა **დეპუტატმა ი. ი. ფადეევმა.**

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია გაიხსნება დღეს, 25 ნოემბერს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

უფრო ფართოდ დავნერგოთ ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმები

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ქალაქ მოსკოვში, ლენინგრადსა და კუიბიშევში ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვის შესახებ. როგორც აღნიშნულია ამ საკითხზე მიღებულ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, დედაქალაქის, ლენინგრადისა და კუიბიშევის სავაჭრო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ერთგვარი დადებითი გამოცდილება დაგროვეს ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვის საქმეში. ამ ქალაქებში გახსნილია ღია დახლებიდან დაფასოებული საქონლის, გრილეცხილი და გასუფთავებული ბოსტნეულის გასაყიდი 700-ზე მეტი თვითმომსახურების სასურსათო მაღაზია. სამრეწველო საქონლის მაღაზიებში წარმოებს გაყიდვა ღია ამოლაგებითა და ნიმუშების მიხედვით, აგრეთვე ნისიად ვაჭრობა.

მოწყობილია მოსახლეობისათვის სასურსათო, სამრეწველო საქონლისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის მიყიდვა მყიდველთა შეკვეთით და შინ მიტანით. მთელმა რიგმა მაღაზიებმა მოაგვარეს სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამსვლელი ვაჭრობა უშუალოდ საწარმოებში, საცხოვრებელ სახლებსა და საერთო საცხოვრებლებში. მოსკოვისა და ლენინგრადის ბევრ მაღაზიაში გახსნილია ბუფეტები მოსახლეობისათვის ცხელი რძის, ჩაის, ყავის, კაკაოს, ბუტერბროდების მისაყიდად.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოახდინეს სავაჭრო ქსელის მასობრივი შემოწმება, სწავლობდნენ და ავრცელებდნენ ვაჭრობის ნოვატორთა დადებითს გამოცდილებას.

ამასთან ერთად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმების გამოყენების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებები. კერძოდ, ჯერ კიდევ ნელა ვითარდება ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა თვითმომსახურება, საქონლის შინ მიტანა, მაღაზიების მიერ შეკვეთების მიღება, რომლებიც უნდა შეასრულოს მრეწველობამ, შეკვეთების მიღება გამომჭრელთა შინ გამოძახებით. რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტრო საკმაო ყურადღებას არ უთმობს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დანერგვას. ცუდად არის დაყენებული ავტომატების მოვლა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ ცნო, რომ ქალაქ მოსკოვისა და ლენინგრადის ვაჭრობის მთავარმა სამმართველოებმა, ქალაქ კუიბიშევის ვაჭრობის საქალაქო სამმართველომ, აგრეთვე მოსკოვის საქალაქო, ლენინგრადისა და კუიბიშევის საოლქო პროფსაბჭოებმა მიიღონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ უფრო ფართოდ დაინერგოს ვაჭრობის პროგრესული ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ მომხმარებლის სწრაფად და უკეთ მომსახურებას. რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტრომ და მისმა ორგანოებმა ადგილებზე, აგრეთვე პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუმჯობესონ სავაჭრო დარგის მუშაკთა შერჩევა და აღზრდა, მუდმივად უნდა ზრუნავდნენ მათი საერთო წიგნიერების, კულტურისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. პროფორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით გააქტიურონ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიების საქმიანობა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად რუსეთის სფსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ამხ. ი. მ. სერებრენიკოვის განცხადება იმის შესახებ, რომ სამინისტრო განახორციელებს ღონისძიებებს სავაჭრო საწარმოებში შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაციისათვის, ავტომატების კონსტრუქციის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე იმ ქირის მოსაწესრიგებლად, რომელსაც მოსახლეობას ახდევინებენ პროდუქტების შინ მიტანისათვის.

გადაწყდა 1960 წლის პირველ ნახევარში მოეწყოს იმის დათვალიერება, თუ როგორ მუშაობენ ვაჭრობის საწარმოები ახალი, პროგრესული ფორმებით.

ქართული მიწის მწვანე კედლები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომ ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოებრიობის დიდ საზრუნავ საქმეს. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის მზარდი მატერიალური, კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების შექმნა მოითხოვს მუდმივ და ყოველმხრივ მზრუნველობას ბუნების სიმდიდრეთა შენარჩუნების, აღდგენის, გამდიდრებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის...

ბუნების დაცვის იდეების პროპაგანდა შეადგენს ყველა საფეხურისა და პროფილის სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, ყველა სამინისტროსა და უწყების მოვალეობას.

კანონიდან „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ".



მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ქარსაცავი ზოლები. ფოტო ი. დავითაშვილისა.

ენგურის სანაპიროზე

ამოვარდნილი ქარიშხალი, როცა მას წინ ფესვმაგარი ხეების მწკრივები არ ეღობება, დაუნდობლად ნავარდობს ხეხილის ბაღებში, ციტრუსებსა და ჩაის პლანტაციებში, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ქართან და ქარიშმალთან ბრძოლა საერთო-სახალხო საქმედ იქცა.

ამ მხრივ ზუგდიდელებსაც აქვთ საამაყო.

მთავარი გზების გაყოლებით, სკოლებისა და კოლმეურნეობების ეზოებში, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გარშემო უკვე დარგულია ასი ათასი ძირი ხე, ასი კილომეტრის მანძილზე გაშენდა ქარსაცავი ზოლი. აი ზუგდიდ-ცაიშის გზაზე ლამაზად ჩამწკრივებულა ოცი ათასი ნერგი. ახლა თვალწარმტაცია ზუგდიდ-სოხუმის გზა. მალე აქ ტანს აიყრის ხალხის მიერ დარგული სხვადასხვა ჯიშის ხეები, რომელთა რაოდენობა ათი ათასს აღემატება.

ზუგდიდელებს დიდი პერსპექტიული გეგმა აქვთ დასახული; შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის დაირგვება 50.000 ძირი ხეხილი, მათ შორის მრავლად იქნება კაკლის ხე. რუხის ციხის მიდამოებს დაამშვენებს ათას ხუთასი ძირი კაკალი. კიდევ უფრო დამშვენდება მდინარე ენგურის სანაპიროები. აქ წელს 1.000 ძირი ხეხილი დაირგვება.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა მიიღეს გადაწყვეტილება ყველგან ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების ირგვლივ გააშენონ ქარსაცავი ზოლები, ქარებისაგან დაცვან საკოლმეურნეო დოვლათი.

პარტია და მთავრობა მუდამ უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ ბუნების დაცვას და მისი რესურსების გამდიდრებას. ჯერ კიდევ 1918 წლის მაისში, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ტყეების შესახებ. ეს დეკრეტი ავალებდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს განუხრელად ეზრუნათ ტყეების დაცვის, მათი განახლებისა და ტყის ფართობების შემდგომი გადიდებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვისა და მის სიმდიდრეთა განვითარებისათვის ზრუნვა საერთო-სახალხო საქმედ არის აღიარებული. ამას ნათლად ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გასული წლის ნოემბერში საქართველოს სს რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ სპეციალურად განიხილა საკითხი საქართველოს ბუნების დაცვის შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ამ სესიაზე დამტკიცებულ კანონში „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ" ნათქვამია, რომ ბუნების დაცვა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ერთ-ერთ ამოცანას, სახელმწიფოს და მთელი საზოგადოებრიობის დიდ საზრუნავ საქმეს.

საქართველო მდიდარია თავისი ფლორითა და ფაუნით; მისი მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელი შეადგენს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ რესურსს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ტყის მასივებით, რომელთა 95 პროცენტი მთის ტყეებს წარმოადგენს. მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ წყლის რეჟიმის, ჰავისა და ნიადაგდაცვის მოწესრიგების საქმეში. კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები იშლება ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების მხრივ შვიდწლიანი გეგმით. შვიდწლეული ბოლოსათვის ჩვენს რესპუბლიკას ათასობით ჰექტარი ტყე შეემატება.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს ახალი ტყის მასივებისა და ტყის დაცვითი ზოლების გაშენების, შარაგზების გამწვანების მიზნით წითელწყაროს, მახარაძის, ცხეთისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მშრომელებმა. ეს ინიციატივა მოწონებისა და ყოველმხრივ წახალისების ღირსია.

არსებული ტყეების დასაცავად და ახალი ნარგავების გასაშენებლად საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად დიდ თანხებს ითვალისწინებს, მიუხედავად ამისა, ის, რაც დღემდეა გაკეთებული, საკმარისი არ არის. ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს გამეჩხერებული ნარგავების აღდგენისა და გაშიშვლებული ფერდობების გატყიანებისათვის, უნდა გავახაროთ და შევინარჩუნოთ დარგული კულტურები.

ჩვენი მოვალეობაა გავუფრთხილდეთ საქართველოს ფაუნას. საქართველო მდიდარი იყო ფაუნის ისეთი შესანიშნავი სახეებით, როგორიც არიან ირემი, შველი, არჩვი, ჯიხვი, გარეული ღორი, კურდღელი; ფრინველთაგან — როჭო, კაკაბი, ხოხობი, გნოლი, ტყის ქათამი, მწყერი, გარეული მტრედი, გვრიტი და მრავალი სხვა. ჩვენს წყლებში ბინადრობენ ორაგული, ლოქო, კალმახი, კობრი და სხვა ჯიშები. გარკვეული წარმატებებია მიღწეული ჩვენი ძვირფასი სანადირო ფაუნის დაცვის და გამრავლების საქმეში. გაძლიერდა აგრეთვე ბრძოლა ბრაკონიერების წინააღმდეგ.

თუ წარსულში სასარგებლო ფაუნის ბევრი სახე დიდად შემცირდა და გადაშენების გზაზე იყო დამდგარი, ამჟამად მიღებული ზომების შედეგად, მდგომარეობას გამოსწორება დაეტყო. მონადირეები ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სამონადირო მეურნეობის წარმოებას, ამაღლდა მოსახლეობის შეგნებულობის დონე ცოცხალი ბუნების დაცვის საქმეში. სასარგებლო ფაუნის გამრავლების მიზნით 1959-დან 1962 წლამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აიკრძალა ყოველგვარი ნადირობა, გარდა მტაცებელ ნადირსა და ფრინველზე ნადირობისა. მაგრამ ფაუნის დაცვა-გამრავლების საქმეში მაინც ბევრი ნაკლი გვაქვს. ჯერ კიდევ ადგილი აქვს სანადირო კანონმდებლობის დარღვევებს. საჭიროა გადაჭრით ებრძოლოთ ბრაკონიერების წინააღმდეგ, შეექმნათ მათდამი საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფერო. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩაებაბათ ადგილობრივი მოსახლეობა, ბუნების დაცვის ძირეული ორგანიზაციები, რიგითი წევრები.

ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელება ამჟამად დაკისრებული აქვთ ცალეულ ორგანიზაციებს, ძირითადად სატყეო მეურნეობებს, საქართველოს ბუნების დაცვის ნებაყოფლობით საზოგადოებას და სხვ. ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეა ტყეები, რომლებიც რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 37 პროცენტს შეადგენს. ტყეების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის განუზომლად დიდია.

ტყეები იცავენ ნიადაგს ჩამორეცხვისაგან, მეწყრისა და ნიაღვრებისაგან, აწონასწორებენ ჰაერის ტემპერატურას, იცავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ქარების ცუდი გავლენისაგან; ყოველივე ამით ხელს უწყობენ მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას. ტყეები დიდ როლს ასრულებენ კურორტების სუფეთესო თვისებათა შექმნაში, ქმნიან ლამაზ ხედებს, აუმჯობესებენ ჰავის პირობებს, ხელს უწყობენ ჩვენი სახელგანთქმული მინერალური წყლების ნორმალური დებიტის შენარჩუნებას. ამიტომ ტყის დაცვა, არსებული ნარგავების მოვლა-პატრონობა, ახალი ტყეებისა და ნარგავების გაშენება საბჭოთა ადამიანების საპატიო და საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა. ეს მოწმობს იმას, რომ არსად ტყე და მწვანე ნარგავები ისეთი დიდი ყურადღებით არ სარგებლობს, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

გამწვანების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ ბუნების დაცვის საზოგადოების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ჭიათურის საქალაქო საბჭოებს, აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკურ, სამხრეთ ოსეთის საოლქო, მახარაძის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ორჯონიკიძის, თერჯოლის, ცხაკაიას, თელავის, თიანეთის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ზესტაფონის, თეთრი წყაროს, ონის, მცხეთის, ახალციხის რაიონულ საბჭოებს.

მაგალითად, ბუნების დაცვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკური და რაიონული საბჭოების აქტიური მონაწილეობით გუდაუთა-აჭანდარის შარაგზის ორივე მხარეს დაირგო და გახარებულია წიწვიანი და ფოთლიანი ჯიშის ნერგები, გამწვანდა სოფლების ბზიბის, კოლხიდის და ხეივნის საშუალო სკოლების ეზოები, მოეწყო პარკი ოჩამჩირის რაიონში, 3 ჰექტარ ფართობზე და გალის რაიონში 2 ჰექტარზე. წინათ სოფელ ფიქნარიდან მდინარე ჩოლოქამდე (აჭარის ასსრ) გზის ნაპირები სილით დაფარულ ადგილს წარმოადგენდა; ამჟამად ეს ადგილი 7 კილომეტრ სიგრძეზე მწვანე ნარგავებით არის შემოსილი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სოფლების ბობოყვათის, ხუცუბნის, ურეხისა და მეჯისწყლის კოლმეურნეობებმა, ბუნების დაცვის ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, დარგეს 10 ათასამდე ძირი ხეხილი და წიწვიანი ჯიშის მცენარეები შარაგზების გასწვრივ. ნერგები გახარებული და შენარჩუნებულია.

ბუნების დაცვის ახალციხის რაისაბჭომ ახალციხე-ბორჯომის გზატკეცილის გასწვრივ ორ მწკრივად 12 კილომეტრზე დარგო ალუბლის, ჭერმის, ქლიავის, თუთის და სხვა ნერგები; ეს ნერგები მოსავლად მიჩენილია ბუნების დაცვის პირველად ორგანიზაციებზე, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი დარგულია. ბუნების დაცვის გურჯაანისა და საგარეჯოს რაისაბჭოებმა მიმდინარე წლის ბუნების დაცვის კვირეულს დაუკავშირეს კახეთის გზატკეცილის გამწვანება.

გურჯაანის რაიონმა სადგურ ბადიაურიდან სოფელ ჩალაუბნამდე დარგო 8-10-წლიანი კაკლის ხეები გზატკეცილის ორივე მხარეს დაახლოებით 17 კილომეტრ მანძილზე, სადგურ ბადიაურიდან საგარეჯოს მიმართულებით ასეთივე ნერგები გააშენა საგარეჯოს რაიონმა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ამ ნარგავთა 80 პროცენტზე მეტი გახარებულია. უნდა ითქვას, რომ ამ გზის გამწვანება ასეთი დიდი მრავალწლიანი ნერგით არც ისე იოლი საქმეა, მით უმეტეს, რომ მთელ ამ ტრასაზე სარწყავი წყალი არ არის და ნერგების მარწყვა ავტოცისტერნებით წარმოებს. ბუნების დაცვის გურჯაანის და საგარეჯოს რაისაბჭოებმა შემდგომაც არ უნდა მოაკლონ ყურადღება ნერგებს, შეავსონ გზატკეცილი ახალი ნერგებით.

ფოთლიანი და წიწვიანი ჯიშების ხეცენარეთა ხელოვნური ნარგავები ამშვენებს თიანეთის რაიონში შემავალ გზებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდამოები ბუნებრივი ტყითაც საკმაოდ მდიდარია. ბუნების დაცვის საზოგადოების თიანეთის რაისაბჭოს ხელმძღვანელობით პირველადი ორგანიზაციების წევრებმა გარეულ პანტასა და მაყალოზე დაამყნეს 4 ათას ძირამდე ვაშლი და მსხალი. უახლოეს ხანში საწირის, ახალსოფლის, ქორშევარდნის და საბადურის სატყეო აგარაკები ხეხილის ტყეებად გადაიქცევა.

მეოთხე წელია გორის საქალაქო საბჭო აწარმოებს გორის ციხის ფერდობების გამწვანებას. უკვე დაირგო 6 ათას ძარზე მეტი ხე და ბუჩქი. ,ყარგი მოვლისა და ყურადღების შედეგად ნერგებით ლამაზი ტყე შეიქმნა. დასასრულს უახლოვდება ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება. შარშან ამ საქმეზე ბუნების დაცვის საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი სახსრებიდან გამოყო და დაეხმარა გორის საქალაქო საბჭოს 200 ათასი მანეთით.

მიმდინარე წლის ნოემბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყო გამწვანება ,ოდათთერი წყაროს გზატკეცილის გასწვრივ 18 კილომეტრ სიგრძეზე. ამ გზის თვითეულ მხარეს 30 მეტრ სიგანის ზოლზე 6 მწკრივად დაირგვება ხეხილი. ამ საქმეში თეთრი წყაროს რაიონს დიდ დახმარებას გაუწევს საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი.

აქ არ ჩამოვთვლით ყველა რაიონსა და ქალაქს, რომლებიც გამწვანების საქმეშიც ეწევიან. ეჭვს გარეშეა, რომ ბუნების დაცვის საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი რესპუბლიკის გამწვანების საქმეში. მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა მომავალში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მუშაობა ამ დარგში. ბუნების დაცვის ძირეული ორგანიზაციები სულ უფრო მეტად უნდა დაეხმარონ ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებს, საავადმყოფოებს ეზოებისა და მუშათა ,ვარტალების გამწვანებაში.

პასუხისმგებლობა ყველა ბუნებრივი სიმდიდრის, მათ შორის ტყის მოვლა-პატრონობის და შენარჩუნებისათვის კანონით დაესაკრებათ იმ მიწათმოსარგებლეებს (კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, დაწესებულებებს და სხვ.), რომელთა ტერიტორიაზეც ეს სიმდიდრე არსებობს. ჩვენ მათგან უნდა მოვითხოვოთ, რომ ყოველწლიურად გამოსყონონ ასიგნებანი და სხვა მატერიალური სახსრები ბუნებრივ სიმდიდრეთა, კერძოდ, ტყეების დაცვის, აღდგენის საქმეშაობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკაში დღემდე 15 ნაკრძალი არსებობს. მათი საერთო ფართობი 6 ათას ჰექტარს აღემატება. მათ შორის მარტო 1959 წელს ახლად ჩამოყალიბდა 6 სახელმწიფო ნაკრძალი, მაგალითად: ცისყარა და კონტრიში (აჭარის ასსრ), პონტოს მუხის ნაკრძალი ჩოხატაურის რაიონში, მარიამჯვრის ნაკრძალი საგარეჯოს რაიონში, ბორჯომის ნაკრძალი და სხვ.

მეტად დიდი ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ცოცხალი და მკვდარი ბუნების ძეგლების, ჭაობარა ბუნების ნამთების აღრიცხვასა და დაცვას. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. საჭიროა ყველა ზომა მივიღოთ მათი შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის.

თ. ნატროშვილი,
საქართველოს ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ეს ჩვენი ღვიძლი, სახალხო საქმეა

გზატკეცილის დარაჯები

კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ბუნების სიმდიდრეს. ამიტომაც რაიონში ამ უკანასკნელ დროს დიდი მუშაობა მიმდინარეობს ბუნების სიმდიდრეთა აღსადგენად და შესანარჩუნებლად. მარტო შარშან ჩვენი რაიონის ხრიოკ ადგილებში დაირგო რამდენიმე ათეული ათასი ძირი სხვადასხვა სახის ხეგორიდან სტალინირის მთავარი გზის მიმართულებით გამვლელი წინათ შეამჩნევდა ადგილებს, რომლებიც დაფარული იყო ეკალ-ბარდებითა და ჯაგნარით. ახლა უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში დარგული რამდენიმე ათასი ძირი მცენარით ისეა გამწვანებული გზის ნაპირები, რომ გავლა გესიამოვნებათ. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სოფელ მეჯვრისხეთიდან გორამდე გზის, ქალაქისა და სკოლების ეზოების გასამწვანებლად და სხვ.

ტყისა და მწვანე ნარგავების მნიშვნელობისა და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ მოსახლეობაში ხშირად ვაწყობთ ლექციებსა და საუბრებს. ზოგჯერ ვაწყობთ ცალკეული კოლმეურნეობებისა და ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ამის შედეგად რაიონში დარგულ მცენარეთა გახარება თითქმის მთლიანად უზრუნველყოფილია.

ბუნების სიმდიდრეთა აღსადგენად და შესანარჩუნებლად ნაყოფიერი მუშაობა იქნა გაწეული წელს. გზაფხულზე მეჯვრისხევიდან გორამდე გზის ორივე მიმართულებით დიდი რაოდენობით დაირგო ხეები. კარალეთის საშუალო სკოლის ეზოში მოსწავლეებმა დარგეს და კარგად უვლიან რამდენიმე ასეული ვაშლის ხეხა და სხვა ხეხილს. სულ რაიონში დარგულ იქნა 80 ათასზე მეტი სხვადასხვა ჯიშის მცენარე.

მაგრამ ის, რაც გორის რაიონში განხორციელდა ბუნების სიმდიდრის გასამრავლებლად, საკმარისი როდია. წელს შემოდგომაზე რაიონში ამ მიმართულებით მთელი რიგი სამუშაოები მიმდინარეობს. რაიონის მშრომელებმა პირობა დადეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისა და საქართველოს კპ XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრის მიზნით მთავარი მაგისტრალური გზის გაყოლებით ორივე მხარეს კასპის რაიონის საზღვრიდან გორამდე 25 კილომეტრზე დარგონ მხოლოდ ვაშლის, მსხლისა და ქლიავის ხეები. ნერგები გორის რაიონშივეა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ადგილებში დაირგვება მხოლოდ მსხმოიარე ხეები. თვითეული ხის მიწიდან ამოღება, გადატანა და დარგვა მოხდება ისე, რომ ნარგავი არ დაზიანდეს.

ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად უკვე მიმდინარეობს ბეჭითი მუშაობა. ამჟამად რაიონის ახალგაზრდობასთან ერთად ნახავთ ღრმად მოხუც კოლმეურნეებს, დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ამზადებენ ნიადაგს ხეების დასარგავად. კარგად მუშაობენ ხიდისთავის მექანიზაციის სკოლის მოსწავლეები. მათ უკვე მოამზადეს ორმოები 500 ძირი მცენარის დასარგავად. მცენარეთა დარგვის სამუშაოთა დამთავრება გათვალისწინებულია 2 დეკემბრამდე.

რაიონის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წალკოტად აქცევონ რაიონი, სოფლის მინდორ-ველები, სახნავ-სათესი ფართობები.

გ. კეჩხუაშვილი,
საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი.

მრავალებენ ქარსაცავი ზოლები

წელს, გაზაფხულზე კასპის რაიონში მდინარე ქსნის ხეობიდან სოფელ იგოეთამდე, დაახლოებით ოცი კილომეტრის მანძილზე, გაშენდა მინდორსაცავი ზოლი; რაიონის ცენტრიდან სოფელ მეტეხის კოზახურის ხიდამდე ახლადგაშენებული მინდორსაცავი ზოლის ხეები ჯანსაღად გამოიყურებიან.

რკინიგზის სადგურ გრაკალიდან მოყოლებული სოფელ დოესამდე გაკეთებული ახალი ქარსაცავი ზოლი დადად დაეხმარა საკოლმეურნეო მინდვრის მშრომელებს უხვი მოსავლის მიღებაში.

ამ საშვილიშვილო საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები, მოსწავლე ახალგაზრდობა. სოფელ კავთისხევში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით გაშენებულ იქნა ქარსაცავი ზოლი. რაც მთავარია, ახალგაზრდობა უდიდესი სიყვარულით უვლის დარგულ მცენარეებს. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ისინი რწყავდნენ ნარგავებს, არც შემოდგომის დღეებში აკლებენ მათ მზრუნველობას.

კასპელები აღებულ ტემპს როდი ანელებენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ ამ შემოდგომაზე მდინარე ქსნიდან სოფელ იგოეთამდე დასასრულონ მინდორსაცავი ზოლის გაშენება. გზის ორივე მხარეს დარგული იქნება ნაყოფმომცემი ნარგავები.

გავალამაზოთ რაიონის ბუნება, ჩავაყენოთ მინდორსაცავი და ქარსაცავი ზოლები უხვი მოსავლის მიღების სამსახურში — ასე ფიქრობენ და შრომობენ კასპელები. ისინი მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ ქარსაცავი და მინდორსაცავი ზოლების გაშენების შვიდწლიანი გეგმა.

კ. სხვაველი.

ბაბრა. ახალი პარკის ერთი კუთხე. ფოტო ხ. კილაძისა.

მწვანე ხეივნებზე ფიქრით

არაგვის ხეობა, ფშავი...

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ალბათ თვალწინ დაგიდგებათ ვაჟას შობლიური მხარე, მწვანენაბდიანი მთებითა და ასწლოვანი ხეებით, გიჟმაჟი არაგვის შხუილითა და მაცოცხლებელი წყაროების ლიკლიკით.

არაგვის ხეობათა შორის მართლაც ყველაზე ლამაზია ფშავის ეს მხარე. მთების მწვერვალებიდან არაგვის ჭალებამდე დაშვებული მშვენიერი ტყეები, ქორბუდა ირემი და წყლიანთვალება შველი, წითელხალებიანი კალმახი და ულვაშა ორაგული, — აი ამ მხარის შნო და ეშხი, სიცოცხლისა და სილაღის წყარო.

ყველაფერი ის, რაც კი აცოცხლებს და ალაღებს ამ ხეობას, ტყეთა წყალობაა. თვით თავნება არაგვიც კი ვერ იჯირითებდა ასე ლაღად, ეს დოვლათიანი ტყეები რომ არ იყოს.

ხეობაში თითქმის ყველაფერი ბუნებრივია, გარდა არაგვზე გადავლებული ხიდისა. ბუნების ამ სიმდიდრესაც სჭირდება თურმე ადამიანის მზრუნველი ხელი, რომ თავისი ღირსება, შნო და ლაზათი არ დაკარგოს. ეს მზრუნველი ხელი იგრძნობა აქ ყველგან, სადაც არ უნდა გაიხედოთ.

სოფელ მაღაროსკარში ვიყავით. სატყეო უბნის წინ კოლმეურნეებს თავი მოეყარათ, მოხუცნი მორებზე ჩამომსხდარიყვნენ, ზოგი ფეხზე იდგა. ჯგუფში ვიღაც მხარბეჭიანი ვაჟკაცი საუბრობდა. დაგვაინტერესა, და მოსაუბრეს შეუმჩნეველად მივუახლოვდით.

— ლამაზია ჩვენი ქვეყნის ბუნება, — ამბობს მოსაუბრე, — რას ინატრებს კაცი ისეთს, საქართველოში რომ არ იყოს, ვინ არ მოხიბლულა ჩვენი ხეობის, ჩვენი მთებისა და ტყეების სილაღით! როგორც ამბობენ ხოლმე, ტყე ტენია, ტენი მოსავალია, მოსავალი ხალხის ცხოვრებაა. ამიტომ თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ ტყეს, მის ბინადართ, უნდა დავიცვათ ისინი ქვისგულიანი და ხელუკუღმართი ადამიანებისაგან.

მოსაუბრემ მრავალი მაგალითი მოიყვანა, თუ როგორ უხეშად ჩეხავდნენ და აზიანებდნენ ტყეებს, როგორ უმოწყალოდ ჟლეტდნენ და ანადგურებდნენ ტყის კეთილშობილ ბინადართ.

— ამ მხრივ, — განაგრძობს მოსაუბრე, — არც ჩვენი უბანია დაზღვეული მსგავსი შემთხვევებისაგან. გასულ გაზაფხულზე თქვენმა მეზობელმა თამარ ბუთხაშვილმა „ვაჟას წყაროსთან" თქვენი ხელით დარგული კაკლის ხეები პირუტყვს გაათელინა.

ფოტოაპარატის წკაპუნზე მოსაუბრემ ჩვენსკენ მოიხედა, საუბრის შეწყვეტა უნდოდა, მაგრამ ვანიშნეთ სხვა დროს განახავთო, და საბჭოს შენობისაკენ ავიღეთ გეზი.

უცხო ვინმე რომ შესწრებოდა ამ საუბარს, იფიქრებდა, რა კარგად მომზადებული ლექტორიაო. მართლაც და საინტერესო ლექცია იყო, თუ შეიძლება ასე ეწოდოს იმ საუბარს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მისი ავტორი არც ლექტორი იყო, არც აგიტატორი. იგი მაღაროსკარის სატყეო უბნის უფროსი ინჟინერი გიორგი წიკლაურია.

გიორგი მეზობელ გუდამაყრის ხეობაში, სოფელ მაქართაში დაიბადა და აღიზარდა. მას პატარობიდანვე შეუყვარდა ტყე. ვინ მოსთვლის რამდენჯერ დამტკბარა იგი გუდამაყრის ხეობის სილაღითა და ფასანაურის კუნწუბა მთების ხშირტყიანი კალთების სილამაზით. გიორგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა მეტყევე ინჟინერი გამხდარიყო. ამ ოცნებით დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა. ის იყო ფასანაურის საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელებას აპირებდა, რომ დაიწყო სამამულო ომი. მოხუცებისა და ბავშვების ხელში დარჩა კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა. ცხვარი საზამთრო საძოვრებზე უნდა გაერეკათ, საქმე ვაჟკაცთა ხელს ითხოვდა. გასაჭირის ჟამს გიორგიმ გადაწყვიტა წიგნის ნაცვლად ხელში კომბალი აეღო და კასპიისპირეთში გაჰყოლოდა ცხვარს. სამი წელიწადი მუშაობდა გიორგი მეცხვარედ. შემდეგ, როცა ფრონტიდან დაბრუნებული ვაჟკაცები გამოჩნდნენ სოფელში, გიორგი კვლავ თავის საქმეს დაუბრუნდა. შუმჩნევლად გაირბინა კიდევ სამმა წელმა, და გიორგიმ საშუალო განათლება მიიღო. შემდეგ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სტუდენტობა. მაშინ გიორგი ნათლად ხედავდა, თუ როგორ ესხმებოდა ფრთები მის ოცნებას...

1954 წელს გიორგიმ დაამთავრა ინსტიტუტი. ერთი წლის შემდეგ იგი მაღაროსკარის სატყეო უბნის უფროსად დანიშნეს. მას აქეთ იგი აქ ცხოვრობს და მუშაობს.

თხუთმეტი ათასი ჰექტარი ტყე აბარია მაღაროსკარის სატყეო უბანს, ეს მეტად დიდი ფართობია, რომლის მოვლა-პატრონობას ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად სიფხიზლე და ვაჟკაცობა სჭირდება. გიორგის და მის კოლეგებს დომიტრი ხოსრიაშვილს, ხვთისო თურმანაულს და სხვებს ეს თვისებებიც არ აკლიათ. სწორედ ამიტომ არის, რომ უბანში ტყეები კარგად არის მოვლილი. სატყეო უბნის მუშაკები მარტო არსებული ტყეებით როდი კმაყოფილდებიან. ისინი კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა დახმარებით ყოველწლიურად აშენებენ ტყის ახალ მასივებს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აქ 26 ჰექტარზე გააშენეს კაკლისა და წიწვიან ხეთა ტყეები.

— ჩვენთან ფოთლოვანი ტყეებია, მაგრამ წიწვიანებიც კარგად ხარობენ, ამიტომ უფრო მიზანშეწონილად ვცანით გავაშენოთ წიწვიანი ტყეები, — განაცხადა ჩვენთან საუბარში გიორგიმ. მართლაც კარგი ღონისძიებაა. წიწვიანი ტყეები უკეთეს სამასალე მერქანს იძლევიან, ვიდრე წიფელი. ამავე დროს ნაძვი და ფიჭვი ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უფრო ძვირფასია, ვიდრე არაგვის ხეობის სხვა რომელიმე მცენარე. ახლა თვალწარმტაცი წიწვიანი ტყეებია აქოჩრილი გომეწყარსა და ინოში, აკალის ხეთა ხეივნები შრიალებენ კუნქეჭინა და მაღაროსკარის ჭალებში.

სასახელოა სატყეო უბნის მუშაკთა საქმიანობა ტყეთა გახელიანების საქმეში. აქაურ ტყეებში პანტასა და მაყალოს გარდა ხშირად შეხვდებით შაფრანისა და თურაშაულის, ანტონოვკისა და ბროდსკის ჯიშის ვაშლებით დახუნძლულ ხეებს. ყოფჩისა და ქალილის მთები ხომ ნახევრად ტყებაღებია. ამ სასახელო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ტყის მეგობრებს ერემია ნაყეურსა და ალექსი ბოძაშვილს. თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ერემია ხეხილს ამყნობს მაღაროსკარის ტყეებში. ამ წლების მანძილზე მას ათასხუთასზე მეტი ნამყენი გაუხარებია. ერემიას კმაყოფილებით ჩაეცინება ულვაშებში, როცა მის მიერ დამყნილ ხეზე ნაყოფს დაინახავს. ან როგორ არ უნდა გაუხარდეს, როცა მთელი თავისი სიცოცხლე ამ საქმეს შეალია!

მწვანე მეგობართა მეგობრობაც ასეთი უნდა!

გ. ნადარეიშვილი,
უ. ბოძაშვილი,
სოფელი მაღაროსკარი, დუშეთი.

ახალი ნარგავები

წითელწყაროს რაიონში მწვანე ნარგავების სიმცირე საგრძნობლად მოქმედებს სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ქარები იწვევს ნიადაგის ეროზიას და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს რაიონის ეკონომიკას. **რაიონს დაახლოებით 2.526 კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია. ტყისა და მწვანე ნარგავებს კი მხოლოდ 17 ათასამდე ჰექტარი უჭირავს. ამან რაიონის ხელმძღვანელობა ძლიერ დააფიქრა, და სწორედ ამიტომ იყო, რომ შარშან ტყის ზოლის გასაშენებლად განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი.** რაიონის კოლმეურნეებმა, მექანიზატორებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სპეციალისტებმა **განახორციელეს ბუნებრივი განახლების ღონისძიებები: დაჯრკვა, ხელოვნური შეთესვა, მოზარდი ნარგავების შემოღობვა და დაცვა. სარგავი მასალის ბაზის შესაქმნელად მოეწყო სანერგე მეურნეობა 65 ჰექტარზე.** რაიონის თვითეულმა ოჯახმა საკარმიდამო ნაკვეთებზე დარგო ათ-ათი ძირი ნაყოფის მომცემი მცენარე და ქუჩის გაყოლებით ხუთ-ხუთი ძირი ხე, რომელთა გახარება მთლიანად უზრუნველყოფილია.

მარტო შარშან ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენების ორთვიურთან დაკავშირებით სატყეო მეურნეობის ბაზით დაირგო 40 ათასზე მეტი ძირი ხე, ხოლო კოლმეურნეობათა ბაზით — 100 ათასამდე ძირი. ამავე დროს რამდენიმე ათეულ ჰექტარზე დაითესა ხეხილ-კენკროვანი ჯიშები.

ს. ხოსროშვილი,
საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

**დიდი სამუშაოები შესრულდა ხიდნაღის რაიონის საზღვრიდან სოფელ ზემო ქედამდე 140 კილომეტრი სიგრძის შარაგზის ორივე მხარეს. აქ

კარტიულ კონფერენციებზე შესაძლებლობა და სინამდვილე

ორასზე მეტი დელეგატი მოვიდა ტულტურის სახლის ნათელ დარბაზში თიანეთის რაიონის მორიგ პარტიულ კონფერენციაზე. აქ იყვნენ საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორები, რომელთა პორტრეტები გამოფენილია მოწინავეთა რაიონულ დაფაზე, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითად შრომობენ დიადი შვიდწლედის დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

პარტიული კონფერენციის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იდგა საკითხი: — რა გააკეთა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის — თიანეთის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ სოფლის შრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების განსაღდებლად.

მომხსენებელმა, — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. გონჯილაშვილმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ მნიშვნელოვან წარმატებებზე, რაც საანგარიშო პერიოდში იქნა მოპოვებული. უკანასკნელ ხანს შესამჩნევად განმტკიცდა ბევრი კოლმეურნეობის ეკონომიკა, ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული. ამავე პერიოდისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 929 კილოგრამი რძე— 54 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის შუსაბამის პერიოდში.

რძის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით კარგ შედეგს მიაღწია ბალმისხეთის კოლმეურნეობამ, რომელსაც რაიონული კომიტეტის წევრი ვენერა სხარულიძე ხელძღვანელობს. ბალმისხეველებმა მიმდინარე წლის ათ თვეში განაღდეს ნაკისრი ვალდებულება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.100 კილოგრამისა, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.400 კილოგრამი რძე, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიყიდეს 33 ტონა პროდუქცია.

რძის წარმოებაში ბალმისხეველებს ბევრად არ ჩამორჩებიან საყდრიონის, გუდანელების, ზარიძეებისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. უკანასკნელ ხუთ წელიწადში რაიონში წველადობა გაიზარდა ორჯერ და მეტად, ასევე გაიზარდა ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოებაც.

ყველაფერი ეს სასიხარულოა იმდენად, რამდენადაც თიანეთის რაიონი წლების განმავლობაში ჩამორჩენილთა რიგებში იყო. ახლა, რაც მთავარია, ადამიანებს აქვთ თავიანთი ძალების რწმენა, იმის ნათელი პერსპექტივა, რომ შეუძლიათ მკვეთრად გაზარდონ საკოლმეურნეო წარმოება, მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს კოლმეურნეობა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების საქმეში.

თიანეთელთა წინაშე ჯერ კიდევ შრავალი ზღუდეა, რომელთა ასაღებად საჭიროა შემოქმედებითი ძალების დაძაბვა, მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება, მეტი შეუთავსრობა. ამის შესახებ კონფერენციაზე ილაპარაკეს დელეგატებმა ნ. მგელიაშვილმა (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), შ. ჯაფოძემ (ზარიძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. კენკაშვილმა (გუდანელების კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი), ნ. ცალუღლაშვილმა (ზარიძეების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე) და სხვებმა. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, რაიონში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი რეზერვები, კერძოდ, ნელი ტემპით ვითარდება მეცხვარეობა და მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, ზოგ კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა ინდაურის მოშენებას.

ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ხშირია პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები. მაგალითად, წელს დაცემულია ცხვრის საერთო სულადობის 10,9 პროცენტი, ღორის — 16,8, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის — 7 პროცენტი. ჯერ კიდევ მაღალია ძროხების ბერწიანობის პროცენტი.

— სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო, — თქვეს დელეგატებმა. ისინი გულსტკივილით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ზოგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ვალდებულებას კისრულობს და მერე მის განაღდებაზე არ ფიქრობს. საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულების შედეგია, რომ გუდანელების, ყებოტის და ტუშურების კოლმეურნეობებში ყოველ 100 დედაცხვარზე გაზრდილი ნამატი 71 სულს არ აღემატება. მთელმა რიგმა ფერმებმა შარშანდელთან შედარებით შეამცირეს რძის წარმოება.

ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია ზოგიერთი სკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. ბევრი ნაკლია მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის დარგში. მთის ზოგ სოფელში იშვიათად იმართება ლექცია-მოხსენებები, არ უჩვენებენ კინო-სურათებს. სუსტია ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, მათი კავშირი მასებთან.

უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენი რესპუბლიკის მთიანი რაიონების კოლმეურნეობებს. ეს ნათლად ჩანს თიანეთის რაიონის მაგალითით. მაგრამ, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის და სხვა სამინისტროები ჯერ კიდევ სუსტად სწავლობენ მთიანი რაიონების შრომელთა მოთხოვნებს. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მრავალი მოთხოვნის მიუხედავად თიანეთის რაიონს ჯერ კიდევ აკლია 10 მეურნალი ექიმი.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ თვითეული დელეგატის გამოსვლაში ჩანდა ჩვენი ადამიანების დიდი მისწრაფება ღირსეულად შეასრულონ შმობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდება — შექმნან ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე, ამავე დროს მათს სიტყვებში ნათლად ჩანდა ფიქრი ნათელ მომავალზე, მაღალმთიანი სოფლების სასიხარულო პერსპექტივებსა და ასაღები ზღუდეების გადალახვაზე.

კონფერენციამ საანგარიშო მოხსენების გამო მიიღო ვრცელი რეზოლუცია, აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კპ XX ყრილობის დელეგატები.

* * *

ახლად არჩეულმა რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. გონჯილაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. ლომჯარია, მდივნად — ამხ. კ. გოჯიაშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თავმჯდომარე თვითნებობს, საკოლმეურნეო ქონება ნიავდება“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის წერილი, რომელშიც მხილებული იყო თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო მიწების უკანონოდ გაცემის, არტელის წესდების დარღვევისა და სხვა დამახინჯების ფაქტები.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე იმსჯელა საქართველოს კპ თერჯოლის რაიონულმა კომიტეტმა. რაიკომის ბიუროს რჩევით სოფელ ღვანკოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ს. გოგიაშვილი გაათავისუფლა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობისადმი არასათანადო კონტროლის დაწესებისათვის პარტიული ორგანიზაციის მდივანს კ. ბუსკიკაძეს გამოუცხადა საყვედური. დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ვართ მეგოგრაგით მთავგონებულნი

ასე დაიწყო მეგოგრაგა

„ბოლნისი. წითელი სოფლის კოლმეურნეობას!

— ძვირფასო ამხანაგებო!

მზიურ საქართველოში ყოფნის დროს პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჭუტიძემ შემომთავაზა ჩავბმულვიყავით სოციალისტურ შეჯიბრებაში თქვენს კოლმეურნეობასთან. სამწუხაროდ, მე საშუალება არა მქონდა მოვსულვიყავი თქვენთან, გაგცნობოდით პირადად, მაგრამ ერთი კია, რაიკომის მდივნის წინადადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემში.

დავბრუნდი თუ არა შინ, ჩვენს კოლმეურნეებს ვუამბე თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკისა და ამხ. ჭუტიძის წინადადების შესახებ.

უკრაინა. კოზელეცის რაიონი, სოფელი ტოკოლი“.

წერილს ხელს აწერენ ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა თავმჯდომარე **გ. ზავრევსკი** და პარტორგანიზაციის მდივანი **მ. მონასტირსკაია.**

წითელი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ჟუჟუნაშვილმა წერილი კოლმეურნეებს გააცნო; უკრაინელი მეგობრები ამავე წერილში მოუწოდებენ ჩაებან მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

— ამ მნიშვნელოვანი მოვლენის დღეებში, — იწერებიან უკრაინიდან, — თქვენი მაგალითისამებრ ჩვენ ვიკისრეთ მნიშვნელოვნად გავადიდოთ ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოება. დავნერგავთ რა ბოლნისელთა გამოცდილებას მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმების შექმნის საქმეში, ვეცდებით ერთიორად გავამრავლოთ ფრინველთა რაოდენობა“.

ს. ჟუჟუნაშვილმა კოლმეურნეებს უამბო, რომ გ. ზავრევსკის ჩამოსვლის მიზანი ბოლნისში სწორედ ის იყო, რომ ენახა მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა...

— როგორც ჩანს, მოსწონებია ჩვენი მეფრინველეობა, — ღიმილით დაუმატა თავმჯდომარემ.

„ვიმეგობროთ, ვიშრომოთ, წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში“, — მოგვიწოდებენ უკრაინელები.

— ვიმეგობროთ! — ერთხმად გადასწყვიტეს კოლმეურნეებმა და გულთბილი წერილით აღფრთოვანებულმა დასტური მისცეს თავმჯდომარეს — გავუგზავნოთ წერილი, უკრაინელ მეგობრებთან ჩავებათ შეჯიბრებაში.

და აი საპასუხო წერილიც.

„ძვირფასო უკრაინელო მეგობრებო!

სულითა და გულით ვიღებთ თქვენს გამოწვევას. ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება გთხოვთ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოგზავნოთ ჩვენთან, წითელ სოფელში თქვენი დელეგაცია. ჩვენ ძმური სიყვარულით მივიღებთ თქვენს წარმოგზავნილებს. ამ დღეებში კურსკელებიც მოვლენ.

მათთან უკვე ერთი წელია ვმეგობრობთ. მოდით, რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის წარმომადგენლებმა ბოლნისის მიწაზე მოვიყაროთ თავი, დავსახოთ ჩვენი შემდგომი მუშაობის გეგმები. ეს საჭიროა ჩვენი ძმობის განსამტკიცებლად“.

ბოლნისი ემზადება ძვირფასი სტუმრების მისაღებად. ქართველები ამჯერადაც ღირსეულად გამოვლენ მასპინძლის როლში. („კომუნისტის“ კორ.).

ახლახან დაამთავრა მუშაობა ამერიკავკასიის ახალგაზრდა მეცნიერ გეოლოგთა კონფერენციამ ბაქოში. კონფერენციამ მოისმინა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის რესპუბლიკური აკადემიების მეცნიერ თანამშრომელთა 30 მოხსენება.

საინტერესო მოხსენებათა შორის კონფერენციის ყურადღება მიიქცია საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერების — ო. გელმანის, მ. გრიგორიევის, ა. ხუციაძის და ბ. ჩიკვაიძის ნაშრომებმა, რომლებმაც გაიუჯობესეს მთის ქანების აბსოლუტური ასაკის გამორკვევის ეფერეთწოდებული კალიუმარგონული მეთოდი.

სურათზე: კონფერენციის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჩხეიძე (თბილისი), გუბკინის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ხალიდა ალიზადე (ბაქო) და სომხეთის სსრ გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი მ. სატიანი. ფოტო ლ. გლიკშტეინისა.

ქალას გვმატებს...

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია მჭიდრო მეგობრობა დამყარდა მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკისა და მაიკოპის ავეჯის კომბინატის კოლექტივებს შორის. ისინი წარმატებით ასრულებენ დავალებებს, იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის.

ამას წინათ მაიკოპში იმყოფებოდა მარელისელ მეავეჯეთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. შარიქაძე, მღუნავი საამქროს ოსტატი ან. ტაბატაძე, ფაბრიკის მუშა თინა არევაძე და ბუხჰალტერი აკ. მიქაბერიძე. მათ დაწვრილებით დაათვალიერეს მაიკოპის ავეჯის კომბინატი, გაეცნენ ტექნოლოგიურ პროცესებს, ესაუბრნენ კომბინატის მოწინავე ადამიანებს.

ამ დღეებში მარელისელმა ახალგაზრდებმა მაიკოპიდან მიიღეს მეგობართა ბარათი. წერილს ხელს აწერენ მაიკოპის საავეჯო კომბინატის მუშები ვ. პარახინი, ნ. სამოხვალოვი, ა. ჩუმბუკოვი და ვ. კონენოვი. ისინი წერენ:

„ძვირფასო ამხანაგებო! ჩაბმულია რა თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაიკოპის ავეჯის კომბინატმა 1959 წლის ცხრა თვის გეგმა შეასრულა 103,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გეგმა — 102,4 პროცენტით; გეგმის ზევით სამშობლოს მივეცით 1.782 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი კომბინატის ახალგაზრდობას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს წარმოებაში სიახლის, ახალი ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიისა და პროგრესული მეთოდების დანერგვაში. მალალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის 16 კომკავშირელი შეტანილია საპატიო დაფაზე, 9 კომკავშირელი — საპატიო წიგნში, 86 კომკავშირელი დაჯილდოებულია ნიშნებით „მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის“, „მოწინავე კომკავშირელი“ და სხვ. კომბინატის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს კრასნოდარის შაქრის ქარხნის მშენებლობასა და ყამირ მიწებზე შრომაში.

ჩვენი კომბინატის ახალგაზრდობა უსურვებს თქვენი ფაბრიკის ახალგაზრდობას ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და საზოგადოებრივ შრომაში“.

მაიკოპელთა ბარათი გულდასმით განიხილეს მარელისელმა ახალგაზრდებმა და მეგობრებს გაუგზავნეს საპასუხო წერილი, სადაც ლაპარაკია მათ შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

არხანგელსკიდან ბარათი მოვიდა

ჰიათურა. (საკ. კორ.). კარგი, კეთილშობილური საქმე ელვისებურად ვრცელდება. ასე მოხდა ამჯერადაც. ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული თაოსნობა მთელ ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოს მოედო. სახელგანთქმულ ფუს ქალიშვილს ჰიათურაშიც გამოუჩნდნენ მიმდევრები. მოწინავე მაღაროელები, ინჟინრები სამუშაოდ გადავიდნენ ჩამორჩენილ უბნებსა და ცვლებში, წინ წამოსწიეს საქმე. სამასი მაღაროელი გადავიდა სამუშაოდ ყველაზე ჩამორჩენილ მაღარო „ახალ ითხვისში“. ამიტომ იყო, რომ მათ სამასი ითხვიელი შეარქვეს.

მარგანეცის ქალაქის გაგანოველებზე, მათს შრომითს საქმიანობაზე წერილები დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, რომელსაც შორეულ არხანგელსკში მიიღწევია. იქ მფრინავად მუშაობს ჰიათურელი ახალგაზრდა ბ. ცარციძე. თანამემამულეთა თავდადებამ შორეულ ჩრდილოეთში აიღებინა მფრინავს ხელში კალამი. ამ დღეებში ჰიათურაში არხანგელსკიდან მოვიდა ბარათი, სადაც ბ. ცარციძე წერს:

„ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჰიათურელო მაღაროელებო!

თქვენი შრომითი სახელოვანები, თქვენი გმირობა და მამაცობა რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა და შორეულ არხანგელსკამდეც მოალწია. გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გავიგე, რომ გაგანოველთა პატრიოტულმა თაოსნობამ ჩემს მშობლიურ ქალაქშიც დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ამ დიად წამოწყებას ბევრი მაღაროელი მიმდევარი გაუჩნდა. თქვენს შორის ბევრს პირადად ვიცნობ, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ვორიშილოვის სახელობის მაღაროში მუშაობენ. გულწრფელად მახარებს თქვენი წარმატება.

მე მშობლიურ ქალაქს მოშორებით არხანგელსკის ოლქში მიხდება მუშაობა მფრინავად. მეც არ ჩამოგრჩებით და მოწინავე ვარ შრომაში, საფრენოსნო ტექნიკის დაუფლებაში არ შემირცხვენია ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო, ჩემი მშობლიური ჰიათურა. იმედი იქონიეთ, რომ არც მომავალში შეგარცხვენთ.

ძვირფასო მეგობრებო, ჰიათურელო გაგანოველებო! გულით და სულით გისურვებთ ახალ, მეტ წარმატებებს შრომაში, ცხოვრებაში“.

ჰიათურელი მაღაროელები გულდასმით გაეცნენ თანამემამულის წერილს. გაგანოველთა ურყევი გადაწყვეტილებაა ჰიათურაში არ იქნას არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა, ცვლა, უბანი, მაღარო, ფაბრიკა, ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას.

ა. ი. მიქოიანი მექსიკაში

მექიკო, 22 ნოემბერი. (საკდესის კორ.). გუშინ დაუშავებითი მრეწველობის ეროვნულ პალატაში გაიმართა საუზმე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად.

საუზმეზე იყო პალატის რამდენიმე ასეული წევრი. პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ვერა ბლანკომ წარმოთქვა სიტყვა.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიქოიანმა, რომელსაც ყველა დამსწრე ტაშით შეხვდა. ა. ი. მიქოიანს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა ტაშით. სიტყვამ პალატის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მოსმენილ იქნა უდიდესი ყურადღებით.

პალატის წევრები გულთბილად გამოეთხოვნენ ა. ი. მიქოიანს.

ნაშუადღევს ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა ეროვნული სასახლე და იქ გაეცნო კედლის მოხატულობას, რომელიც დიეგო რივერას ეკუთვნის. საღამოს მექსიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ლასარო კარდენასმა ვიზიტი გაუკეთა ა. ი. მიქოიანს სსრ კავშირის საელჩოში.

მექიკო, 23 ნოემბერი. (საკდესი). ა. ი. მიქოიანი 21 ნოემბერს გამოვიდა საუზმეზე მექსიკის დამმუშავებელი მრეწველობის ეროვნულ პალატაში და განაცხადა, რომ სსრ კავშირს სურს კონტაქტი და ურთიერთობა დაამყაროს ქვეყნებს შორის ეკონომიურ, კულტურულ და მეცნიერულ საკითხებში. მაგრამ ჩვენ ამას თავს არავის არ ვახვევთ.

თეორიულად, თქვა მიქოიანმა, მიმაჩნია, რომ არ შეიძლება იყო ნამდვილად დამოუკიდებელი, თუ არა გაქვს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. თუ ურთიერთობა გექნებათ მხოლოდ ქვეყნების ერთ გარკვეულ ჯგუფთან, ძალაუნებურად დამოკიდებული აღმოჩნდებით. ჩვენ, განაგრძო მან, იმის მომხრენი ვართ, რომ ყველა ხალხი — დიდი და პატარა — იყოს ნამდვილად დამოუკიდებელი და ცხოვრობდეს ყველა ხალხთან მეგობრობით.

მიმართა რა დარბაზში შეკრებილ მექსიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მიქოიანმა შენიშნა: „რაც უფრო განავითარებთ ინდუსტრიას, კულტურას, მით უფრო მალე ახვალთ ცხოვრების უფრო მაღალ დონეზე.

ჩვენ არ მიგვაჩნიხართ ჩვენს კონკურენტებად. საერთოდ ჩვენ კონკურენტები არა გვყავს არცერთ ქვეყანაში. ჩვენ გეგმიანი ეკონომიკა გვაქვს. თუ ვხედავთ, რომ რაღაც ზედმეტს ვაწარმოებთ, შემდეგში ამ წარმოებას არ ვავითარებთ, კაპიტალს ვახმართ ეკონომიკის სხვა დარგებს ან ვაფართოებთ ბაზარს ფასების შემცირებით“.

შეეხო რა განვითარების ტემპის საკითხს, მიქოიანმა თქვა: „ჩვენ — საბჭოთა ადამიანებმა, კომუნისტებმა — გამოვიწვიეთ შეჯიბრებაში ყველა და განვაცხადეთ, რომ დავეწევით და გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამრეწველო წარმოების დონის მხრივ. გაბედული გამოწვევაა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გაიმართა რამდენიმე სპეციალური სხდომა, რომლებზეც მოიწვიეს საუკეთესო ეკონომისტები და განიხილეს სსრ კავშირში განვითარების ტემპის საკითხი. ეკონომისტებმა, რა თქმა უნდა, მონაცემები შეასწორეს ცოტა თავის სასარგებლოდ, ცოტა ჩვენს „საზიანოდ“, მაგრამ ჩვენი წარმატებებისა და ჩვენი გეგმების სრულიად „წაშლა“ ან თავის ისე მოჩვენება, რომ არ არის არავითარი ფაქტი, როგორც ამას წინათ შვრებოდნენ, ახლა-აღარ გამოდის“.

იმ ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სწრაფ ტემპს, მიქოიანმა დაასახელა, კერძოდ, სოციალისტური საკუთრება, ეგეგმიანი მეურნეობა, უმუშევრობის არარსებობა, ტექნიკური და მეცნიერული პროგრესი.

მთელი ჩვენი ხალხი, თქვა ა. ი. მიქოიანმა, იმას ესწრაფვის, რომ გაიუმჯობესოს ცხოვრება. ომში ჩვენ ძალიან ბევრი რამ დავკარგეთ. ჩვენ ხალხს ეზიზღება ომი. ჩვენ გვსურს მშვიდობა, მაგრამ გვსურს ვიცხოვროთ უკეთ, ვიდრე ახლა ვცხოვრობთ, და უკეთ, ვიდრე ცხოვრობენ ყველაზე მდიდარ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან ეშვიანობენ ამის გამო. მაგრამ ჩვენ ეს ეშვი არ გვაღელვებს. ჩვენ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ ეს კარგი იქნება ამერიკელი უბრალო ადამიანებისათვის. როცა დავეწევით ამერიკას, მონოპოლიების ლიდერები იძულებული გახდებიან რაიმე გააკეთონ, რომ გაუმჯობესონ მუშათა ცხოვრება. მაშასადამე, ჩვენი ეკონომიური შეჯიბრება საბოლოო ანგარიშით დაეხმარება ამერიკელ ხალხსაც. ეს კი სასარგებლო საქმეა.

მონტერეი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც ვიზიტით არის მექსიკაში, სამოგზაუროდ წავიდა მექსიკაში. დღის 12 საათზე მას უკვე შეხვდნენ პატარა სამრეწველო ქალაქ მონტერეის მცხოვრებლები, სადაც არის მექსიკაში ყველაზე დიდი მეტალურგიული კომბინატი „ალტოს ორნოსი“.

იმავე დღეს ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები თვითმფრინავით გაფრინდნენ მექსიკის მოსახლეობის რიცხვით მესამე ქალაქ მონტერეიში. აეროდრომზე საბჭოთა სტუმარს შეხვდნენ საბჭოთა კავშირ-მექსიკის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის ხელმძღვანელები და წევრები.

ქალაქის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოაწყვეს ა. ი. მიქოიანის შეხვედრა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ჟურნალისტებთან. სტუმრის მისასალმებლად მოვიდნენ, კერძოდ, ადგილობრივი ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, მონტერეის უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სხვები.

შემდეგ გაიმართა ა. ი. მიქოიანის საუბარი ადგილობრივი გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტებთან, რომლებმაც მას მისცეს კითხვები. საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების შესახებ კონკრეტულ ცნობებს რომ ეხებიან, კერძოდ ნავთობის ამოღებაზე, ფოლადის, ელექტროენერგიის წარმოებაზე და სხვ. ყველა ამ საკითხზე ა. ი. მიქოიანმა დაწვრილებითი პასუხი გასცა, მან ილაპარაკა აგრეთვე სსრ კავშირში წარმოებულ მშენებლობაზე, საბჭოთა მეცნიერების წარმატებაზე.

საღამოს ადგილობრივი სატელევიზიო ცენტრის ხელმძღვანელობამ ა. ი. მიქოიანი მიიწვია გამოსულიყო ტელევიზიით მონტერეის მცხოვრებთა წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქში ყოფნის პროგრამა გადატვირთული იყო, ა. ი. მიქოიანი დათანხმდა გამოსვლაზე, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას ძლიერ კარგი შთაბეჭდილება რჩება მექსიკის შესახებ. ა. ი. მიქოიანმა მონტერეის მცხოვრებლებს გადასცა საბჭოთა ხალხის სალამი.

გვიან საღამოს ა. ი. მიქოიანმა ინახულა მექსიკა-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტი. დარბაზში, სადაც ა. ი. მიქოიანი მივიდა, შეიკრიბა ამ ინსტიტუტის ბევრი წევრი. ინსტიტუტის თავმჯდომარემ გულთბილი მადლობა გადაუხადა მიქოიანს მისკლისათვის.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიქოიანმა. მან მადლობა გადაუხადა ინსტიტუტის ხელმძღვანელებსა და წევრებს მექსიკასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის შესრულებული მუშაობის გამო.

მეხიკო, 24 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ქალაქ მონტერეიდან გაფრინდნენ მექსიკის ნავთობის მრეწველობის დიდ ცენტრში — სიუდად-პემექსში (ტაბასკოს შტატი).

პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის მომავალი ვიზიტის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწვია იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი ესტუმროს საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით.

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კმაყოფილებით დაეთანხმა ამ მოწვევას. იგი მოსკოვს ჩამოვა 1960 წლის 8 იანვარს და საბჭოთა კავშირში დარჩება დაახლოებით ერთ კვირას.

სსრ კავშირის დედაქალაქ მოსკოვში ყოფნის გარდა, სადაც იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეხვდება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებს, პროგრამა შეიცავს აგრეთვე ლენინგრადში გამგზავრებას.

პრეზიდენტ გრონკის ახლდება იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პელა.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„თავმჯდომარე თვითნებობს, საკოლმეურნეო ქონება ნიავდება“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის წერილი, რომელშიც მხილებული იყო თერჯოლის რაიონის სოფელ ღვანკოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო მიწების უკანონოდ გაცემის, არტელის წესდების დარღვევისა და სხვა დამახინჯების ფაქტები.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე იმსჯელა საქართველოს კპ თერჯოლის რაიონულმა კომიტეტმა. რაიკომის ბიუროს რჩევით სოფელ ღვანკოთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ს. გოგიაშვილი გაათავისუფლა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობისადმი არასათანადო კონტროლის დაწესებისათვის პარტიული ორგანიზაციის მდივანს კ. ბუსკიკაძეს გამოუცხადა საყვედური. დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

თაღლითი თეთრ ხალათში

— ამოაძრე, თუ ძმა ხარ, გავთავდი კაცი!

— მოიცა, მეგობარო! იქნებ სჯობდეს ვუმკურნალოთ...

— კმარა, წელიწადია მესმის ეს სიტყვები... ამოაძვრეთ.

— თქვენი ნებაა, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ... ერთი კბილი გინდა მქონია და გინდა არა, გთხოვთ ამოაძროთ, სანამ სხვა კბილს არ გამიფუჭებს. ხომ გაგიგონიათ, ერთმა დამპალმა ვაშლმა ათასი დაალპოო...

— გამიგონია... — ჩუმად ჩაილაპარაკა კბილის ტექნიკოსმა რევაზ ისიდორეს-ძე კუპრაშვილმა.

მართლა და როგორ არ გაუგონია. განა ეს სიტყვები არა თქვა პროკურორმა, როცა კუპრაშვილი თავდახრილი იდგა სასამართლოს წინაშე და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა თაღლითობის საკუთარ ისტორიას.

ყვებოდა კუპრაშვილი უსირცხვილოდ, დალაგებით...

— „მაშინ საშუალო სკოლის მოწაფეები ვიყავით. ბავშვური გატაცება იყო თუ სიყვარული, ვერ გეტყვით — მოსვენებას არ ვაძლევდი მოსწავლე ე. ბ-ს, ერთხელ მოტაცებაც კი დავუპირე, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანე. დავამთავრეთ სკოლა, დავშორდით ერთმანეთს. მე ცოლი შევირთე, სამი შვილი გამიჩნდა, ვცხოვრობდი ჩემთვის. და აი... როგორც ხედავთ, კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ძალიან მჭირდებოდა ფული. გავიგე, რომ ჩემს სკოლის მეგობარს ფული ჰქონდა. საჭირო იყო როგორმე ხელში ჩამეგდო ეს ფული.

მერე როგორ?

ვიფიქრე, ვიფიქრე და აი რა მოვიფიქრე. ე. გ. მარტოხელა იყო, ცხოვრობდა თბილისში 25 თებერვლის ქუჩაზე. დავიწყე ამ სახლის წინ აღმა-დაღმა სიარული. მივუახლოვდებოდი თუ არა ჩემი მსხვერპლის ფანჯარას, სიარულს შევანელებდი, შევწუხდებოდი, თავს ჩავღუნავდი, თითქოს დიდი ჯავრი რამ მქონოდა, ისე ჩავივლიდი და ამოვივლიდი.

ეს,

დღეს თეატრში და ხელოვნებაში

სიკეთის, სილამაზის ზღაპარი

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლი

ნამდვილად სიხარულს გრძნობ, როცა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში სახელგანთქმული ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდის „ვარსკვლავბიჭუნას“ უყურებ. „ვარსკვლავბიჭუნა“ პოეზიითა და რომანტიკულობით აღსავსე ზღაპარია, რომელიც აფაქიზებს მაყურებელს, თავის თავზე აფიქრებს და ამაღლებს მას. ამიტომ კარგად მოიქცა თეატრი, თავის ნორჩ მაყურებელს ერთ-ერთ ახალ წარმოდგენად სწორედ ეს ზღაპარი რომ უჩვენა.

ზღაპარი სცენაზე განხორციელებულია რეჟისორ ა. გამსახურდიის, მხატვარ ი. სუმბათაშვილისა და კომპოზიტორ ს. ნასიძის მიერ. მათ ისე მწყობრად ჩამოუყალიბებიათ წარმოდგენის ყველა კომპონენტი, რომ ნორჩ მაყურებელს უეჭველად გულში ჩასწვდება უაილდის ზღაპრის დიდი ადამიანური აზრი: ჩვენს ცხოვრებასა და მოქმედებას სილამაზე და სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად, სიკეთის ნათელი გზით უნდა ვიაროთ ცხოვრებაში.

ეს ისეთი სპექტაკლი როდია, რომ თეატრიდან გასვლისთანავე დაავიწყდეს ადამიანს და უკვალოდ გაქრეს მის მეხსიერებაში. ამ წარმოდგენის ნახვით ბავშვები დიდად იმდიდრებენ სულიერ და გონებრივ ძალას, ისინი ქმაყოფილი ბრუნდებიან შინ და ფიქრობენ სიკეთეზე, სილამაზესა და სიყვარულზე.

მართალია, უაილდის ზღაპარს ბევრი რამ საერთო აქვს მსოფლიოში ცნობილ ზოგიერთ ზღაპართან, მაგრამ მისი ქმნილების კომპოზიციური დატვირთვა და შეტად თავისებური სტილი საკმაოდ განსხვავებულს ხდის „ვარსკვლავბიჭუნას“. მნიშვნელია, რომ წარმოდგენის ავტორებსაც სათანადო სცენიური სახე გამოუნახავთ. მსახიობები ძირითადად სწორად ხსნიან ზღაპარს, თუმცა აქა-იქ ზოგიერთი სცილდება წარმოდგენის საერთო სტილს და თვით დადგმის ფინალური სცენაც, თუ შეიძლება ითქვას, „შერყეულია“. ფინალური სცენა სათანადოდ ვერ აგვრგვინებს ამ მაღალი გემოვნებით გაჯერებულ - წარმოდგენას. დედის ტანსაცმელიც, ვარდების რხევაც ამ სცენაში წარმოდგენისათვის უცხო სხეულად მომეჩვენა.

არა მგონია, რომ ფინალური სცენა თვით წარმოდგენის ავტორებს აკმაყოფილებდეს. „ვარსკვლავბიჭუნა“ უეჭველად დიდხანს შერჩება სცენას, როგორც მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ფინალიც დამუშავდეს, უფრო სრულყოფილი გახდეს.

რაში მდგომარეობს ამ სპექტაკლის საერთო წარმატების მიზეზი? უპირველეს ყოვლისა რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორის ნამუშევრისა და მსახიობ შემსრულებელთა კარგად შეკრულ ანსამბლურობაში, რაც არცთუ ადვილი მისაღწევია.

არ შეუუდგები მსახიობთა ნამუშევრის დაწვრილებით განხილვას. ყველა მსახიობს, როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითადად სწორად აქვს მოხაზული სულიერადაც და პლასტიკურადაც თავისი პერსონაჟი. ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია გამოვეკიდო წვრილმან შენიშვნებს. დიდად მოსაწონია, რომ მსახიობთა უმრავლესობა მარტო თავის როლს კი არ ასრულებს, არამედ წარმოდგენის საერთო აზრის დამკვიდრებას ემსახურება.

არ მიფიქრია რეცენზიის დაწერა. ეს პატარა წერილი ნაკარნახევია იმ გულწრფელი სიხარულით, რომელსაც ყოველ ჩვენგანს ჰგვრის ქართულ სცენაზე ნიჭიერად დადგმული წარმოდგენა.

ვასო ყუშიტაშვილი,
რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან. დედა (ლ. ძიგრაშვილი) და ვარსკვლავბიჭუნა (შ. დალაქიშვილი).

თბილისის მომავალი მშვენება

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის ახალი შენობის მაკეტს. მისი პროექტის ავტორია არქიტექტორი ი. ჩხენკელი. საკონცერტო დარბაზი აშენდება ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე დიდ მოედანზე. იგი ერთ-ერთი დიდი და ლამაზი ნაგებობა იქნება ჩვენს დედაქალაქში. მაყურებელთა დარბაზი, რომელიც მეორე სართულზე მოთავსდება, 1650 კაცს დაიტევს. გათვალისწინებულია იარუსის მოწყობა.

დარბაზის პირველ სართულში მოთავსდება ფართოეკრანიანი კინოდარბაზი 950 ადგილით, ექნება შესანიშნავად მოწყობილი ფოიე, გარდეროები, რამდენიმე სარეპეტიციო დარბაზი, ოთახები სიმფონიური ორკესტრისათვის, ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის, სახელმწიფო კაპელისა და გუნდებისათვის.

პროექტით მოცემულია აგრეთვე სპეციალური ოთახები რადიოტრანსლაციისა და ტელეგადაცემისათვის.

* * *

სურათზე: ახალი საკონცერტო დარბაზის მაკეტი.

ფოტო ბ. დადვაძისა.



საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება

მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული გაცვლის შესახებ

6-დან 21 ნოემბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული გაცვლის შესახებ 1960-61 წლებში. ეს მოლაპარაკება წარმოებდა თანახმად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომუნიკეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს შორის აზრთა გაზიარების შედეგების შესახებ.

21 ნოემბერს ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და კულტურის დარგში თანამშრომლობის შესახებ 1960-61 წლებში. შეთანხმებას ხელი მოაწერეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. ჟუკოვმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ლ. ე. ტომპსონმა.

სიტყვებში, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს გ. ა. ჟუკოვმა და ლ. ე. ტომპსონმა, გამოთქმული იყო რწმენა, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კონტაქტებისა და ურთიერთობის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს კლიმატის გაუმჯობესებას ორივე ქვეყნის ურთიერთობაში და ნაყოფიერი თანამშრომლობის მოგვარებას მეცნიერების, ტექნიკის, ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი მოღვაწეობის, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სხვადასხვა დარგში. ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შესრულება წინანდელი ორწლიანი შეთანხმებისა, რომელსაც ხელი მოაწერეს 1958 წლის 27 იანვარს, იყო ურთიერთხელსაყრელი და კარგი პრაქტიკული ნაბიჯი ურთიერთგაგების გაუმჯობესების მიმართულებით.

შეთანხმება წარმოადგენს კონკრეტულ ორწლიან პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გაცვლას მეცნიერების, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნების დარგში, თანამშრომლობას კინოს დარგში, რადიო-სატელევიზიო პროგრამების, გადმოცემების, გამოფენების გაცვლას. მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე აწარმოონ კულტურულ ახალგაზრდობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების დელეგაციების, სპორტსმენების გაცვლა, ხელი შეუწყონ ტურიზმის განვითარებას, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შემოღებას.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოვიდნენ გ. ა. ჟუკოვი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების სამმართველოს უფროსი ფ. მერილი.

უპასუხეს რა საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტების კითხვებზე, გ. ა. ჟუკოვმა და ფ. მერილმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილებია, მათი აზრით, ის ნაწილები, რომლებიც ითვალისწინებენ თანამშრომლობას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში და რადიო-სატელევიზიო პროგრამების გაცვლას. (საკდესი).

დღეს პარიზში

◎ გულთბილი მიღება ◎ ფრანგული სტუმართმოყვარეობა ◎ „რესინგბთან“ მატჩის წინ

პარიზი დიდი ფეხბურთის მოლოდინშია. თბილისის დინამოელთა გამოსვლას აქ განსაკუთრებული ინტერესით მოელიან. გაზეთები, რადიო, აფიშები, სხვადასხვა რეკლამები იუწყებიან „რესინგბისა“ და „დინამოს“ 25 ნოემბრის მატჩს.

გუშინ რედაქცია დაუკავშირდა პარიზის სასტუმრო „დორსენს“, სადაც დაბინავდნენ თბილისელი ფეხბურთელები. ყურმილს იღებს საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ბ. სინიარულიძე.

ვთხოვეთ მას ესაუბრა პარიზში მიღებაზე, მომავალ მატჩებზე საფრანგეთის გუნდებთან, კერძოდ „რესინგთან“.

იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვიყავით და საერთაშორისო შეხვედრები გვჭონდა, ყველგან პატივისცემით და სიყვარულით გვხვდებოდნენ. ეს გამომჟღავნდა არა მარტო მათი სტუმართმოყვარეობით, არამედ იმ სიმპათიითაც, რომელსაც ამ ქვეყნების მკვიდრნი იჩენდნენ მატჩის დროს.

მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში ჩასვლა, იქ დახვედრა, მიღება სულ სხვა იყო და, მართალი გითხრათ, მოლოდინს გადაეჭარბა.

ლუქსემბურგიდან პარიზში 23 ნოემბერს ჩავედით. აქ ფეხბურთის მოყვარულებს, კლუბებს, რომლებთანაც თბილისელებს შეხვედრა ექნებათ, დაწვრილებით სცოდნიათ ჩვენი მარშრუტი, ჩასვლის დრო. ირგვლივ შემოგვეხვივნენ. თაიგულები გვიძღვნეს, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ, ისმოდა გაზეთების ფოტორეპორტიორთა აპარატების ჩხაკუნი.

დავბინავდით ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ სასტუმროში. ამავე დღეს გვქონდა საუბარი „რესინგგისა“ და სხვა კლუბების ხელმძღვანელებთან, შევთანხმდით მატჩების ჩატარების ადგილებზე, შეჯიბრების დაწყების დროზე, მსაჯობაზე და სხვა საკითხებზე.

ალბათ გაინტერესებთ, როგორი იქნება შემადგენლობა, როგორია დინამოელთა განწყობილება, რას წარმოადგენს ჩვენი ნაკიები ძირითადად ამ კლუბის მოთამაშეებით კომპლექტდება. გასულ სპორტულ სეზონში „რესინგმა“ პირველი ლიგის უძლიერესთა ოცეულში მესამე სპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო 1959-60 წლის ჩემპიონატში 16 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილი უკავია.

ამ კლუბის მოთამაშეთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მთავარი ბომბადამშენი თ. სიზოვსკი. ტემპიანი და ტექნიკური ბრძოლით გამოირჩევა გარეკბი ა. გრეი, მცველი რ. მარში, ახალგაზრდა ფეხბურთელი ი. ვისნესკი და სხვ.

მატჩი პარიზში „რესინგსა“ და „დინამოს“ შორის უთუოდ საინტერესო იქნება.

ნახვამდის. წარმატება ვუსურვოთ თბილისელებს!

საგზაოვანი

„10 ძნელი შეკითხვა“

ჰერტერის სტატია ამერიკულ ჟურნალში

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ჟურნალმა „პერეიდმა“ გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კ. ჰერტერის სტატია „10 ძნელი შეკითხვა, რომლებთანაც მსოფლიო მოგვმართავს“. სტატია მოწმობს, რომ ამერიკის მმართველი წრეები სერიოზულად დაიფიქრა შეერთებული შტატების პრესტიჟის დაცვამ საზღვარგარეთ. სახელმწიფო მდივანი ცდილობს დაარწმუნოს თავისი მკითხველები, რომ ანტიამერიკული განწყობილების ზრდა გამოწვეულია არა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკით, არამედ იმით, რომ ამერიკელებს, რომლებიც საზღვარგარეთ მოგზაურობენ, უნარი არ შესწევთ „ყველას გააცნონ სმართლე ამერიკის შესახებ, მისი იდეალებისა და მისწრაფებათა შესახებ“.

ჰერტერი ჩამოთვლის კითხვებს, რომლებითაც მმართავენ ამერიკელებს „უცხოელები სამშობლოში და საზღვარგარეთ“ და რომლებზეც, როგორც იგი აღნიშნავს, ამერიკელები პასუხს ვერ აძლევენ.

რატომ ჯიუტობენ ამერიკის შეერთებული შტატები და არ სურთ ატომგულის გამოცდის შეწყვეტა? თუ თქვენ არ აპირებთ ომის დაწყებას, რატომ ემუქრებიან შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს, რომლის გარშემო შექმნეს სამხედრო ბაზების რკალი?

როგორ შეგიძლათ ილაპარაკოთ, რომ თქვენში „აყვავებაა“, როცა გყავთ მილიონი უმუშევარი?

რატომ კარგავენ ამერიკელები საზღვარგარეთ მთელ თავის დროს მაღაზიებში სასიარულოდ, იმის ნაცვლად, რომ შეიესწავლონ სხვა ქვეყნის კულტურა? განა ამერიკული პრესა მსხვილი კაპიტალის ტყვეობაში არ არის?“ „თუ შეეთვებული შტატები უშვებენ შესანიშნავ სამომხმარებლო საქონელს. მაშრით ახსნით დიდ მოთხოვნას ევროპულ ავტომობილებზე? რატომ ეწინააღმდეგებით კომუნისტური ჩინეთის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში? განა მართალი არ არის, რომ ამერიკის აყვავებას საფუძვლად უდევს უხარამზარი სამხედრო მანქანის შექმნა? საბჭოთა კავშირმა გაგიზიარეთ ტექნიკის დარგში. რატომ არ აღიარებთ ამას? რატომ არ ვაკრობენ ამერიკის შეერთებული შტატები კომუნისტურ ჩინეთთან?“.

„პასუხები ამ შეკითხვებზე, — წერს ჰერტერი, — ეხება ზოგიერთ ყველაზე ძნელ და რთულ პრობლემას, რომლებიც თქვენსა და თქვენი მთავრობის წინაშე დგას ჩვენს ახლანდელ საგარეო ურთიერთობაში“.

ჰერტერი აღიარებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვით ოფიციალური წარმომადგენლებიც ვერ გასცემენ ნათელ პასუხს ასეთ შეკითხვებზე, რომლებიც აღელვებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანებს. ავტორი ცდილობს ჩამოაყალიბოს თავისი „გაუბრალოებული“ პასუხები, მაგრამ საეჭვოა ეხმარებოდეს ამერიკელებს. არა გვგონია, ვინმემ დაიჯეროს, რომ უმუშევართა მრავალმილიონიანი არმიის შექმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში აიხსნებოდეს იმით, რომ „მშრომელ მამაკაცებსა და ქალებს შეუძლიათ ადვილად გამოიცვალონ სამუშაო“, რომ ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნა საბჭოთა კავშირის გარშემო გამოწვეული იყოს ვითომდა „საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური მისწრაფებებით“ და ა. შ.

თანამედროვეობის მწვავე შეკითხვები არსებითად დამაჯერებელი პასუხების გაუცემლად დარჩა.

ნერუს გამოსვლა

დელი, 23 ნოემბერი. (საკდესი). დელის რადიოს ცნობით, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელიც გუშინ გამოვიდა პოლიტიკურ კონფერენციაზე დელში, თქვა, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების შეცვლაზე. ინდოეთი ყოველთვის ისახავდა და კვლავ ისახავს მიზანს — ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისა და „ცივი ომის“ შეწყვეტისათვის. ისტორიის მსვლელობამ დაადასტურა, რომ სწორი არ არის იმათი პოზიცია, ვინც ამჟამად მოითხოვს სახელმწიფოთა ბლოკებისადმი შეერთების პოლიტიკის შეცვლას და წინადადებას აყენებს, რომ ინდოეთმა მიიღოს სხვა ქვეყნების დახმარება თავისი ტაჩტორიული მთლიანობის დაცვისათვის, განაცხადა ნერუმ. წარსულში, როცა კი ინდოეთი მიმართავდა დახმარებისა და დაცვისათვის უცხო სახელმწიფოს, ეს სახელმწიფო ავრცელებდა თავის ბატონობას ინდოეთის ხალხზე.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ინდოჩინეთის საზღვარზე, მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები არ შეიცვლება. მან მოუწოდა ხალხს იყოს ერთიანი და ძლიერი.

შეეხო რა ინდოეთის ამოცანებს, ნერუმ განაცხადა, რომ ახლა ყველაზე დიდმნიშვნელოვანია შეიქმნას ძლიერი და მტკიცე საფუძველი ინდოეთის მძიმე მრეწველობისათვის.

თავისუფლება — გლეზოსს!

სოფია, 23 ნოემბერი. (საკდესი). მანოლის გლეზოსის პროცესმა, რომელიც საბერძნეთის რეაქციამ მოაწყო, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა აღშფოთება გამოიწვია, წერს დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ იმ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდეს უკანონო განაჩენი მანოლის გლეზოსისა და მისი ამხანაგების წინააღმდეგ.

გაზეთი წერს, რომ ბერძენი ხალხის სახელოვანი შვილების დასაცავად აღსდგა მთელი პროგრესული მსოფლიო საზოგადოებრიობა, და, როგორც ბულგარეთის დეპუშათა საგენტო იუწყება, აცხადებს, რომ ბულგარელი ხალხი დიდ პატივს სცემს საბერძნეთის ეროვნულ გმირს მანოლის გლეზოსს. ბულგარელი ხალხი გლეზოსის მხარეზეა და თავისი პროტესტის ხმა შეუერთა მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის ხმას, მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება

მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული გაცვლის შესახებ

ნოს დარგში, რადიო-სატელევიზიო პროგრამების, გადმოცემების, გამოფენების გაცვლას. მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე აწარმოონ კულტურულ ახალგაზრდობის და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების დელეგაციების, სპორტსმენების გაცვლა, ხელი შეუწყონ ტურიზმის განვითარებას, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შემოღებას.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოვიდნენ გ. ა. ჟუკოვი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების სამმართველოს უფროსი ფ. მერილი.

უპასუხეს რა საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტების კითხვებზე, გ. ა. ჟუკოვმა და ფ. მერილმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილებია, მათი აზრით, ის ნაწილები, რომლებიც ითვალისწინებენ თანამშრომლობას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში და რადიო-სატელევიზიო პროგრამების გაცვლას. (საკდესი).

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიპეცკი. 24 ნოემბერი. დღეს აქ კულტურის სახლში მოეწყო სსრ კავშირის ქალთა XXI საჭადრაკო ჩემპიონატის პირველ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

ნ. გიფრინდაშვილმა და ე. კაკაბაძემ ბრძოლის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალეს ლ. ბელავენეცთან და ვ. ტიხომიროვასთან და თავი დამარცხებულად ცნეს. ასევე გაუთამაშებლად დათმო პარტია ნ. ვოიცეკმა ა. კუშნირთან, ტ. ზატულოვსკაიამ-ო. სემიონოვასთან, ა. ვიტკოვსკაიამ-ლ. ვოლპერტთან. ლ. ბელავენეც-კ. სკეგინასა და მ. ტოგონიძეზ. ნახიმოვსკაიას პარტიებში ბრძოლის განუახლებლად ფიქსირებული იქნა ყაიმი.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ლ. ვოლპერტ-ს. როოტარეს და ვ. ტიხომიროვა-ნ. კოლოტის შეხვედრა.

ს. როოტარემ დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ო. რუბცოვა.

3 ტურის შემდეგ წინ არის ლენინგრადელი მოჭადრაკე ო. სემიონოვა, რომელსაც 2,5 ქულა აქვს. ლ. ვოლპერტს, მ. ტოგონიძეს, ვ. ტიხომიროვას, ა. კუშნირსა და თ. დმიტრიევას ორ-ორი ქულა აქვთ.

„ტორპედო“ ინგლისში

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა თავისი გამოსვლები ინგლისში. ტორპედოელებმა უკანასკნელი შეხვედრა მოაწყეს შეფილდში „შეფილდის“ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 ინგლისელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

ერევნის ნახევარფინალი

ერევანი. 24 ნოემბერი. დღეს გაიმართა მეექვსე ტური. 8 პარტიიდან ამ დღეს მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. გროსმაისტერ ე. გელერის წინააღმდეგ მ. შიშოვმა მე-16 სვლაზე დაუშვა შეცდომა და 24-ე სვლაზე წააგო პარტია.

ვ. ბაგიროვი დამარცხდა ი. ნიკოლაევსკისთან, ხოლო ა. ბუსლაევი და ე. ჩუკაევი 21-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ბ. გურგენიძეს ე. მნაცაკანიანთან გადადებულ პარტიაში უკეთესი მდგომარეობა აქვს.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.



საფრანგეთი. პარიზში კოლომბის სტადიონზე გაიმართა საფრანგეთისა და პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. თამაში დამთავრდა საფრანგეთის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 5:3. **სურათზე:** პორტუგალიის გუნდის მეკარე იღებს ცნობილი ფრანგი ფეხბურთელის კოპას მიერ დარტყმულ ბურთს.

გერმანელი კომპოზიტორი და ქართული სიუჟეტი

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტმა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მუსიკალურმა სექციამ მოაწყო გენიალური კომპოზიტორის გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის გარდაცვალების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება „ჰენდელის ოპერა „რადამისტი“ ქართულ ისტორიულ სიუჟეტზე“ წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მუსიკათმცოდნემ ვაჟა გვახარიამ.

ჰენდელის ოპერა „რადამისტი“ ასახავს საქართველოს ისტორიის 1 საუკუნეს და აღსანიშნავია, რომ ამ ოპერით, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, გაიხსნა 1721 წელს ლონდონის მუსიკალური აკადემია. ამ ოპერის შესახებ გამოკვლევა დაიბეჭდა „საბჭოთა ხელოვნებაში“ 1953 წელს. ოპერის ცალკეული ნაწყვეტები საქართველოს რადიოკომიტეტის ძალებით შესრულდა 1954 წელს.

ვ. გვახარიას გამოკვლევა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ გადაუგზავნა ქალაქ ჰალეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰენდელიანელთა კომიტეტს.

ამ დღეებში მუსიკათმცოდნე ვ. გვახარიამ კომიტეტის სხვენთ დოქტორ ვ. ზიგმუნდ-შულცისაგან მიიღო წერილი და წიგნები „ჰენდელის წელიწდეული — 1959 წლისა“ და „რადამისტის“ ერთ-ერთი არიის ჰენდელის ფაქსიმილე ვ. ზიგმუნდ-შულცის გამოკვლევით (1959 წლის გამოცემა).

წერილში აღნიშნულია, რომ ჰენდელის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ოპერის „რადამისტის“ შესახებ საქართველოდან მიღებულია უაღრესად საყურადღებო გამოკვლევა, რომელიც უახლოეს ხანში დაიბეჭდება ჰენდელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრებულში. „ჩვენ მთელ მსოფლიოს უნდა გავაცნოთ ჰენდელის მეგობრები“, „ჩვენთვის უაღრესად სასიხარულოა რომ საქართველოში ასეთ დიდ ინტერესს იჩენენ ჰალეში დაბადებული დიდი კომპოზიტორის მიმართ“, ნათქვამია წერილში.

ვ. ზიგმუნდ-შულცი ვ. გვახარიას სთხოვს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში ჰენდელის შესწავლის შესახებ, რომელიც აგრეთვე გამოქვეყნდება. ჰენდელს ჩვენში უმთავრესად კამერული ნაწარმოებებით იცნობენ, მაშინ როდესაც განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ორატორიები.

ოპერა „რადამისტის“ მოსმენამ დაგვარწმუნა, რომ, მიუხედავად მისი ძველი ფორმისა, მუსიკა ბრწყინვალეა და თვით რადამისტის ცნობილი არია 11 მოქმედებიდან ითვლება ავტორის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად. ვ. გვახარიამ მიერ გადაწერილია ოპერის 1 რედაქციის პარტიტურა, რომელიც გამოცემულია ფ. კრიზანდერის მიერ, და ოპერის ქართულ ენაზე მთლიანი საკონცერტო შესრულება ქართველ მსმენელთა დიდ ინტერესს გამოიწვევს.

ნ. გიორგაძე.

გიორგი ლეონიძის საღამო

ამას წინათ დუშეთის რაიონის სოფელ ბარისახოში გაიმართა პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

მოხსენებით გამოვიდა ი. ქართველიშვილი.

ბარისახოს სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა გიორგი ლიქოკელმა, ბერდია არაბულმა და სასოფლო კლუბის გამგემ ხვთისო ანთაურმა სიტყვები წარმოთქვეს. საღამოს ორასზე მეტი კაცი დაესწრო.

ბ. ბერიაშვილი.

წარმატება ფილმისა

ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში

ვარშავა, 23 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის ბევრ სამრეწველო საწარმოში, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების კლუბებში დიდი წარმატებით უჩვენებენ ფერად დოკუმენტურ ფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“. მაყურებლები აღფრთოვანებას გამოთქვამენ ფილმის გამო, რომელიც გვიჩვენებს ნ. ს. ხრუშჩოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის ისტორიულ დღეებს.

ფილმის „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“ გასინჯვა მოეწყო საბჭოთა საელჩოში. გასინჯვას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სახელმწიფო საბჭოს, მთავრობის წევრები, პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

პრაღა, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო იუწყება, პრაღის კინოთეატრ „გვეზდაში“ დიდი წარმატებით უჩვენებენ საბჭოთა ფერად დოკუმენტალურ კინოფილმს „ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში“. პირველ სამ დღეს იგი ნახა დაახლოებით 11.200 მაყურებელმა.

თბილისის პოლიტიკური ცხოვრებიდან

25 ნოემბერი

ოპერისა და ბალეტის — ტრუბადური (მე-6 აბონ. მე-4 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ერთხელ დაბოცილები, მარჯანიშვილის სახელობის — ამერიკული ტრაგედია, გრიბოედოვის სახელობის — ორი ფერი, სანკუალტურის — არეული დღე, მოზარდ მაყურებელთა ქართული — სომბრერო (აბონ. № 15, 10 ს.), თოჯინების ქართული — ზარმაცი კიკო (10 ს.), შვილს ნუკრი (2 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი — ბალადა ჯარისკაცზე, ისანი, კომკავშირელი, კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ადამიანები ზღვაზე ძლიერნი არიან, სპარტაკი — ჩრდილი და სინათლე, თბილისი — სამყაროს შექმნა, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — მამაცი ნაზარი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — კოლტების ატამანი, საქართველო (წითელი დარბაზი) — ტარიელ მკლავაძის საქმე.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, სილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УЭ 07725 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.